**ადგილწარმოშობის დასახელება: "ნაბეღლავი"**

**რეგისტრაციის № 822**

**რეგისტრაციის თარიღი: 2011.12.13**

საქონლის დასახელება რომლისთვისაც მოითხოვება ადგილწარმოშობის რეგისტრაცია:

კლასი 32 - ნატურალური მინერალური წყალი.

განმცხადებლის დასახელება და მისამართი:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მარშალ გელოვანის გამზ. №6, 0159 თბილისი (GE)

განსაკუთრებული თვისებები:

მინერალური წყალი "ნაბეღლავი" არის ნახშირორჟანგიანი ჰიდროკარბონატული ნატრიუმიანი მინერალური წყალი საერთო მინერალიზაციით 2,5-12 გ/დმ$^3$

წყლის ტემპერატურა – 12-18°C.

ნაბეღლავი ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებებით და გამოიყენება საჭმლის მომნელებელ ორგანოთა, ღვიძლის, ნაღვლისა და შარდის სადინარების დაავადებათა, აგრეთვე, ნივთიერებათა ცვლის მოშლის დროს.

ქიმიური შემადგენლობა:

$$CO_2\,1{,}4\,M_{6'7}\,\frac{HCO_3\,94\,CL14}{Na\,77\,Mg\,13\,Ca^{7}}\,T13-15^{\circ}C$$

გეოგრაფიული ადგილის მდებარეობის აღწერა:

მინერალური წყალი "ნაბეღლავის" საბადო მდებარეობს საქართველოში, გურიის რეგიონში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბეღლავის მიდამოებში, მდინარე გუბაზეულის ორივე ნაპირზე. მინერალური წყლის საბადო აღმოჩენილია 1905 წელს. უახლოესი დასახლებული პუნქტი – დაბა ჩოხატაური – 22კმ; დაშორება მნიშვნელოვანი პუნქტიდან – ქ. სამტრედია – 52 კმ; მდინარის აუზი ან მთათა სისტემა – მდ. სუფსის აუზი.

საბადოს (წყაროს; ჭაბურღილის) ნომენკლატურა და ხაზოვანი კოორდინატები – К-38-73-Б-а;

| № | X | Y |
|---|---|---|
| 1. | 4647665,0 | 8281725,0 |
| 2. | 4647225,0 | 8282495,0 |
| 3. | 4646772,0 | 8283115,0 |
| 4. | 4647097,0 | 8282360,0 |

ჩოხატაურის რაიონი, სოფელი ნაბელლავი
N
ჩოხატაური
ნაბელლავი
პირობითი აღნიშვნები
გზა
დასახლებული პუნქტი
რაიონული ცენტრი
მუნიციპალიტეტის საზღვარი
რაიონის საზღვარი
1:180,000